

შ-04/429-16
07.12.16.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო



MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15^ა
15^ა, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96

www.mra.gov.ge

N 04/07/29896
02/12/2016

29896-04/07-2-201612021238



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარეს

ქ-ნ ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა,

სამინისტროში 2016 წლის 24 ნოემბერს შემოსული თქვენი #გ-04/447-16 განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, 2016 წელს განახორციელა „ადამიანის უფლებების დაცვის 2016-2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ 13.1.3.4.-ე პუნქტის საქმიანობით გათვალისწინებული შემდეგი ღონისძიებები:

- ადრეული ქორწინების თემაზე შეხვედრები გაიმართა თავშესაფრის მაძიებლებთან და დევნილებთან შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით. კერძოდ, შეხვედრები გაიმართა: შიდა ქართლში (კარაღეთისა და ვერხვების ჩასახლება), ქუთაისში (ჭავჭავაძის ქ. #15), ზუგდიდში (კომბინატის დასახლება და ლალიძის ქ. # 4).
- ასევე ჩატარდა შეხვედრა წეროვანის დევნილთა დასახლებაში სკოლის მოსწავლეებთან, ადრეული ქორწინების საკითხებზე, ამერიკის საელჩოს პროექტის US Embassy Bookmobile -თან თანამშრომლობით.

ეროვნული და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გენდერული თანასწორობის საკითხებზე შეხვედრებს ასევე ატარებენ ზემოთნახსენები სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი სხვა უწყებები.

რაც შეეხება ბიუჯეტირების ფორმირების პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინებას (13.1.1.3.-ე საქმიანობა), გენდერული ასპექტების მხედველობაში მიღება მოხდა „დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმით“


(<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3124845>) დამტკიცებული აქტივობების შემუშავების დროს.

გარდა ამისა, როგორც სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაშია გაწერილი, განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები, რათა მოხდეს სამინისტროს შესაბამისი თანაშრომლების გადამზადება გენდერულ საკითხებზე, მათ შორის გენდერული ასპექტების გათვალისწინებაზე ბიუჯეტის ფორმირების პროცესში.

გენდერული ასპექტების მხედველობაში მიღება ასევე ხდება დევნილთა ერთჯერადი ფულადი დახმარებების გაცემის დროს.

პატივისცემით,

გოგუცა გურული



საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი